

მარიამ კასრაძე

University of TUSCIA, Italy

„თბილისიდან წამოსვლის დღეს, ჯერ კიდევ თვითმფრინავის აფრენის მომენტში ვიგრძენი, რომ რაღაც საოცარ სიახლეში, თავგადასავალში ვდგამდი ფეხს და დღესაც, ყოველ დილით ამ შეგრძნებით ვიღვიძებ. უკვე წარმოუდგენლად ბევრი რამ მასწავლა უცხო ქვეყანაში მართო ცხოვრებამ და დარწმუნებული ვარ წინ კიდევ ძალიან ბევრი გამოწვევა მელის. 5 თვე შესაძლოა ძალიან დიდი დრო არ იყოს, თუმცა სრულიად საკმარისია საკუთარ თავში ცოტათი უფრო გაერკვე, პიროვნულად განვითარდე და ახალი იდეებით ავსებული დაბრუნდე საკუთარ ქვეყანაში.“